ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2026 წლის —— ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

„მეზღვაურის მომლოდინე მეუღლის“ ქანდაკების განთავსების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–19 მუხლის 1–ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის 5–7 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ქალაქ ბათუმში, ი. გოგებაშვილის ქუჩის სკვერის მიმდებარედ, განთავსდეს „მეზღვაურის მომლოდინე მეუღლის“ ქანდაკება, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პლიტიკის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის (ესკიზის, ადგილმდებარეობის) მიხედვით.
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქანდაკების განთავსებას, თავისი ხარჯებით უზრუნველყოფენ მეზღვაურები.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ივანე მაისურაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„მეზღვაურის მომლოდინე მეუღლის“ ქანდაკების განთავსების შესახებ
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

აღნიშნული ქანდაკების განთავსება ერთგვარი პატივმიგება და მადლიერების გამოხატულებაა ქართველი მეზღვაურებისა და მათი ოჯახების მიმართ, ვინაიდან მეზღვაურის პროფესია თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე დაკავშირებულია ხანგრძლივ განშორებასთან, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასთან და მნიშვნელოვან პირად თუ პროფესიულ გამოწვევებთან. ამ პროცესში მეზღვაურის ოჯახის წევრები, განსაკუთრებით მეუღლეები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და წლების განმავლობაში იზიარებენ აღნიშნული პროფესიის თანმდევ სირთულეებსა და პასუხისმგებლობას. ამასთანავე, „მეზღვაურის მომლოდინე მეუღლის“ ქანდაკება იქნება არა მხოლოდ ერთგულებისა და მხარდაჭერის სიმბოლო, არამედ იმ ადამიანების ღვაწლის აღიარება, რომელთაც საკუთარი ძალისხმევითა და თანადგომით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მეზღვაურების საქმიანობაში. აღნიშნული ქანდაკების განთავსება კიდევ უფრო გამოკვეთს ბათუმის, როგორც მნიშვნელოვანი საზღვაო და სანავსადგურო ქალაქის სტატუსს, ხელს შეუწყობს ქალაქის საზღვაო იდენტობის გაძლიერებას და ჩამოყალიბდება სიმბოლურ სივრცედ, როგორც მოქმედი მეზღვაურებისა და მათი ოჯახებისთვის, ასევე მომავალი თაობებისთვის, რომლებიც მეზღვაურის პროფესიას აირჩევენ.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში, ი. გოგებაშვილის ქუჩის სკვერის მიმდებარედ „მეზღვაურის მომლოდინე მეუღლის“ ქანდაკების განთავსების თაობაზე.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

თავისი ხარჯებით უზრუნველყოფენ მეზღვაურები.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი არ გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე **ჯაბა ჭანტურია**